## საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების

## სასერტიფიკატო კურსი

| | |
|---|---|
| კურსის სახელწოდება: | ტრენერების ტრენინგი<br>(ინტენსიური კურსი)<br>Training of Trainers<br>(Intensive Course) |
| კურსის მოცულობა: | 22 სთ |
| კურსის ხელმძღვანელი | ქეთევან ცინცაძე, ლექტორი, კონსულტანტი, ტრენერი, საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების ექსპერტი. |
| კურსის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსები (გთხოვთ, თან დაურთოთ CV) | ქეთევან ცინცაძე |
| სწავლების ენა: | ქართული |
| სამიზნე ჯგუფი: | • მოქმედი ან მომავალი ტრენერები, რომლებსაც სურთ პროფესიული უნარ-ჩვევების გაღრმავება.<br>• ადამიანური რესურსების მართვის სამსახურების წარმომადგენლები, რომლებსაც აკისრიათ პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა.<br>• ტრენინგ-მენეჯერები. |
| კურსში ჩართვის წინაპირობა მსმენელთათვის: | წინაპირობის გარეშე. |
| კურსის მიზანი: | ტრენინგ-კურსის მიზანია მსმენელები აღჭურვოს |

| | |
|---|---|
| | ტრენერისათვის და ტრენინგ-მენეჯერისათვის საჭირო პროფესიული უნარ-ჩვევებით, რათა დამოუკიდებლად შეძლონ ტრენინგის სრული ციკლის წარმართვა ADDIE მოდელის მიხედვით: საჭიროებების იდენტიფიცირება და ანალიზი, ტრენინგის დიზაინის შექმნა, ტრენინგის განვითარება, ტრენინგის ჩატარება, ტრენინგის შეფასება და შემდგომი მართვა. |
| სწავლის შედეგები: | კურსის გავლის შემდეგ მონაწილეები შეძლებენ:<br>• საჭიროებების იდენტიფიცირებასა და ანალიზს;<br>• ტრენინგის დიზაინის შექმნას;<br>• ტრენინგის განვითარებას (სილაბუსის და მასალების შექმნა);<br>• ტრენინგის ჩატარებას თანამედროვე ტექნიკებისა და მეთოდების გამოყენებით;<br>• ტრენინგის შეფასებას (მონაწილეთა შეფასება, თვითშეფასებისა და ტრენინგის შეფასების დაგეგმვა და განხორციელება);<br>• საჭიროების შემთხვევაში ტრენინგის შემდგომ მართვას. |
| სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: | ტრენინგის მიზნების მისაღწევად გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები:<br>• მინი ლექცია;<br>• დისკუსია;<br>• გონებრივი იერიში;<br>• როლური თამაშები;<br>• გუნდური დავალებები და პრეზენტაციები;<br><br>კურსი ასევე ითვალისწინებს საბოლოო პრაქტიკულ დავალებას, რომლის ფარგლებშიც მონაწილეები შეძლებენ მოდელირებული ტრენინგის დაგეგმვასა და ჩატარებას. |
| მსმენელის შეფასების სიტემა: | მსმენელები შეფასდებიან საბოლოო პრაქტიკული დავალებით (მოდელირებული ტრენინგი), ჯამში 15 ქულით.<br><br>**მოდელირებული ტრენინგის შეფასების** |

| | |
|---|---|
| | **კრიტერიუმები:**<br><br>**შინაარსობრივი მხარე - 5 ქულა**<br><br>**5 ქულა:** საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული. მონაწილე ეფექტიანად იყენებს ტრენინგზე ათვისებულ მეთოდებსა და ტექნიკებს.<br>**3-4 ქულა:** მონაწილე მეტნაკლებად სრულად გადმოსცემს დაგეგმილ საკითხს, თუმცა ვერ ახერხებს წინასწარ დაგეგმილი მეთოდებისა და ტექნიკების სრულყოფილად გამოყენებას.<br>**1-2 ქულა:** მონაწილე ვერ ახერხებს აუდიტორიისათვის გასაგებად და სრულყოფილად მოდელირებული ტრენინგის თემის გადაცემას, მწირად იყენებს ტექნიკებსა და მეთოდებს.<br><br>**მოდელირებული ტრენინგის ვიზუალური მხარე - 5 ქულა**<br><br>**5 ქულა** - გამოყენებულია პრეზენტაციები და სხვა სახის თვალსაჩინოების მრავალფეროვანი ვიზუალური მასალით, რომელიც სრულად შეესაბამება მოდელირებული ტრენინგის თემატიკასა და შინაარსს.<br>**3-4 ქულა** - გამოყენებულია მრავალფეროვანი ვიზუალური მასალა, რომელიც ნაწილობრივ შეესაბამება თემატიკასა და შინაარსს.<br>**1-2 ქულა** - გამოყენებულია მწირი ვიზუალური მასალა, რომელიც არ შეესაბამება თემატიკასა და შინაარსს.<br><br>**ფორმალური მხარე: რეგლამენტის დაცვა, კონტაქტი აუდიტორიასთან - 5 ქულა**<br><br>**5 ქულა** - გამოყოფილი დრო ზედმიწევნით დაცულია. პრეზენტაციას აქვს ინტერაქტიური სახე.<br>**3-4 ქულა** - ხანგრძლივობა უმნიშვნელოდ აღემატება მისთვის გამოყოფილ დროს. კონტაქტი აუდიტორიასთან დამაკმაყოფილებელია.<br>**1-2 ქულა** - პრეზენტაციის ხანგრძლივობა არსებითად აღემატება მისთვის გამოყოფილ დროს. კონტაქტი აუდიტორიასთან არადამაკმაყოფილებელია. |

| | |
|---|---|
| სერტიფიკატის მინიჭების მოთხოვნები: | სერიტფიკატის მისაღებად აუცილებელი ტრენინგის მინიმუმ 80%-ზე დასწრება და საბოლოო პრაქტიკულ დავალებაში (მოდელირებულ ტრენინგში) მინიმუმ 11 ქულის დაგროვება. |
| კურსის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ–ტექნიკური რესურსები: | პროექტორი, პორტატული კომპიუტერი, „ფლიპჩარტი", თეთრი დაფა, ტრენინგისათვის აუცილებელი საკანცელარიო მასალა.<br>ონლაინ ჩატარების შემთხვევაში Zoom-ის პლატფრომა. |

## კურსის სტრუქტურა და შინაარსი

**I მოდული** - ტრენინგის განვითარება

| # | თემა / სესია | საათების რაოდენობა თითოეული თემისათვის | მეთოდები | სასწავლო მასალა* |
|---|---|---|---|---|
| 1 | ტრენინგის მომზადება / ტრენინგის ციკლი - ADDIE მეთოდი.<br>▪ საჭიროებების ანალიზი ტრენინგისათვის;<br>▪ ტრენინგის მიზნებისა და შედეგების ფორმულირება;<br>▪ ტრენინგის სტილები;<br>▪ ტრენინგის დიზაინის შექმნა;<br>▪ ტრენინგის სილაბუსი; | 4 | მინი ლექცია;<br>დისკუსია;<br>გონებრივი იერიში;<br>როლური თამაშები;<br>გუნდური დავალებები და პრეზენტაციები; | ტრენიგისათვის მომზადებული სასწავლო მასალა. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2 | ტრენინგის განხორციელება.<br>▪ ტრენინგის გახსნა და ყინულის ლღობა;<br>▪ გუნდის შეკვრის აქტივობები;<br>▪ ენერჯაიზერები;<br>▪ ტრენინგთან დაკავშირებული პრობლემები და მათი აცილება.<br>▪ შეფასება და უკუკავშირი. | 4 | მინი ლექცია;<br>დისკუსია;<br>გონებრივი იერიში;<br>როლური თამაშები;<br>გუნდური დავალებები და პრეზენტაციები; | ტრენიგისათვის მომზადებული სასწავლო მასალა. |
| 3 | ზრდასრულთა სწავლება.<br>▪ ზრდასრულთა ასაკობრივი ჯგუფები და თვისებურებები;<br>▪ ზრდასრულთა სწავლისა და სწავლების სტილები;<br>▪ ზრდასრულთა სწავლების მეთოდები და მათი შერჩევა სამიზნე აუდიტორიის პსეციფიკის მიხედვით. | 4 | მინი ლექცია;<br>დისკუსია;<br>გონებრივი იერიში;<br>როლური თამაშები;<br>გუნდური დავალებები და პრეზენტაციები; | ტრენიგისათვის მომზადებული სასწავლო მასალა. |
| 4 | ტრენერის ხელოვნება / ფასილიტაციის უნარები.<br>▪ ტრენერის როლი და ფუნქციები;<br>▪ კომუნიკაციის უნარები;<br>▪ ეფექტური პრეზენტაციის მომზადება და განხორციელება;<br>▪ ჯგუფის დინამიკის | 4 | მინი ლექცია;<br>დისკუსია;<br>გონებრივი იერიში;<br>როლური თამაშები;<br>გუნდური დავალებები და | ტრენიგისათვის მომზადებული სასწავლო მასალა. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მართვა. | | პრეზენტაციები; | |
| 5 | მიკროსწავლების სესია - პრაქტიკული დავალებები.<br>▪ მიკროსესიის ინსტრუქტაჟი<br>▪ პრაქტიკული დავალებების წარდგენა და შეფასება. | 6 | მინი ლექცია;<br>პრეზენტაცია. | ტრენიგისათვის მომზადებული სასწავლო მასალა. |